ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4421052

ნომერი: AR1667628

თარიღი : 13.03.2019

გაცემის თარიღი : 27.03.2019

გაცნობის თარიღი : 31.03.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლადო მესხიშვილის ქუჩა, N 23;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი კეკელია პ/ნ 01001052309
- იპოლიტო ივანოვის 30

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი, 2019 წლის 13 მარტის AR 1667628 განცხადება, რომლითაც ითხოვს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ

გამოყენების პირობებში (07.09.2017 წლის №3523096 ბრძანება) ცვლილების შეტანას.

სამსახურში არსებული დოკუმენტაციის გამოკვლევისა და შესწავლის შედეგად დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2014 წლის 17 ნოემბრის №1643672 ბრძანებით, მიწის ნაკვეთზე მდებარე: ქალაქი თბილისი, ლადო მესხიშვილის ქ.N23-ში (საკადასტრო კოდი: #01.17.01.018.024) სასტუმროს მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. 07.09.2017 წლის №3523096 ბრძანებით შევიდა ცვლილება გაპში. (სიმაღლის განსაზღვრასთან დაკავშირებით). გაიცა ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის N1732 განკარგულება. 01.07.2015 წლის №1984590 ბრძანებით გაიცეა ქ. თბილისში (სექტორი–ისანი), გ. წერეთლის, მესხიშვილისა და ვახტანგ VI–ის ქუჩებს შორის, სასტუმროს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.

განმცხადებელი ითხოვს 2017 წლის 07 სექტემბრის №3523096 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას და საპროექტო ობიექტის ფუნქციად სასტუმროს ნაცვლად ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი დაფიქსირებას.

პასუხად გაცნობებთ შემდეგს: მითითებულ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების დიდი ნაწილი განხორციელებულია. სამსახურის პოზიციით არ არის მიზანშეწონილი სამშენებლო გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტის ფუნქციად სასტუმროს ნაცვლად ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი დაფიქსირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენ მოთხოვნას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.